ლოკოკინა ლილა

კლასი I

საანბანო საკითხავი წიგნის ადაპტირებული ვერსია, ასო-ბგერა „ლ“

წიგნის გამოყენება რეკომენდებულია ერთობლივი კითხვის, ასევე, წყვილებში კითხვის და მართული კითხვის აქტივობების ჩასატარებლად. მისი დახმარებით ბავშვს გაუადვილდება დამოუკიდებლად კითხვის დაწყება.
წიგნი განკუთვნილია როგორც ქართულენოვანი, ასევე არაქართულენოვანი დამწყები მკითხველებისთვის.

ავტორთა ჯგუფი: **თათა ჭანტურია, მაია ლორთქიფანიძე, ხათუნა რაზმაძე, მაკა მახარობლიძე, ლელა ქისტაური, ქეთი ფიცხელაური**

ადაპტირებულ ვერსიაზე მუშაობდნენ: **თათა ჭანტურია, ლელა ქისტაური, გიორგი ჭაუჭიძე**

მხატვარი: **ზურაბ სულაკაური**

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd) მადლობას უხდის ლელა ქისტაურს, რეზო გოგიას, ნუგზარ არჩემაშვილს და ელისო რეხვიაშვილს, რომლებმაც პაატა პაპავას ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ წიგნების მომზადებაში. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ მედეა კაკაჩიას (USAID) გაწეული დახმარებისთვის.

ამ მასალის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მასალების შინაარსზე პასუხისმგებელია შემდგენელთა ჯგუფი და იგი არ წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და აშშ მთავრობის აზრს. ეს მასალა მომზადდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE G-PRIED Georgia Primary Education Project
საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი

ლოკოკინა ლილა

ეს არის ლოკოკინა ლილა.
ლილას ძალიან უყვარს ძილი.
ლილას ნაკადულის ხმაც უყვარს.

ერთ დილას ლილა სიჩუმემ გააღვიძა.

— ვაი, ნაკადული სად წავიდა?
— შორს, ლურჯ კლდესთან, — უთხრა ხემ.

— უნდა ვიპოვო! — თქვა ლილამ.

ლილა წავიდა. იარა, იარა და კლდესთან მივიდა.

– ნაკადული სად არის?



ნაკადული
იქ არის,
მაღლა.

ლილამ კლდეს ახედა.

ლილამ კლდეზე ასვლა დაიწყო.

კლდე ძალიან მაღალი იყო.

ლილა დაიღალა.
ნაკადული არ ჩანდა.

— ნაკადულო, სად ხარ?
— აქ ვარ, ლილა!

— ნაკადულო, წამოდი
ჩვენთან, — სთხოვა ლილამ.
— ვერ წამოვალ. მცხელა.

– ახლა რა ვქნა?
ლილამ ღრუბელი დაინახა.
– ღრუბელო, მიშველე!

წვიმა წამოვიდა.
წვიმამ ნაკადულს წვეთები მისცა.
ნაკადული გაიზარდა.